ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ოქმი № 13

ქ. ახმეტა 27 აგვისტო 2020 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: თამარ ყეინიშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: რ. ბაღაკაშვილი, ბ. ჭიჭიკლიშვილი, მ. კოხტაშვილი, ლ. ითიურიძე, ა. ხიზანაიძე, ნ. ალავიძე, ა. ბუღრიძე, თ. ბორჩაშვილი, რ. ალხანაშვილი, გ. ხუცურაული, ლ. უძილაური, ი. მრელაშვილი, რ. გახუაშვილი, გ. ხადიშვილი, თ. წითელაური, ფ. შიომღვდლიშვილი, თ. მოზაიძე, დ. ავაზაშვილი, ვ. დედაბრიშვილი, შ. ტერტერაშვილი, თ. ბოდაველი.

სხდომა გაიხსნა 11 ⁰⁰ საათზე.

დღის წესრიგი

1. ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

2. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2020 წლის პროგრამის და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ნათელა ექვთიმიშვილი/

3. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

სხდომას ესწრება 22 საკრებულოს წევრი.
მომხრე - 22

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი:

მიმდინარე წელს ახალი კორონავირუსის (covod-19) პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც გლობალურ,ისე საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე. შესაბამისად შემცირდა საქართველოს ეკონომიკური ზრდის და საგადასახადო შემოსავლების პროგნოზები, რის გამოც მუნიციპალიტეტებისათვის გათვალისწინებული საგადასახადო შემოსავლებში მოსალოდნელია დანაკლისი, კერძოდ დამატებული ღირებულების საპროგნოზო მაჩვენებელი შემცირდა 1205.2 ათასი ლარით და შეადგინა 7026,8 ათასი ლარი, სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შემცირდა 249,8 ათასი ლარით და განისაზღვრა 586,2 ათ ლარი.(მ.შ. ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი შემცირდა 249,8 ათ ლარით და განისაზღვრა 250,2 ათ ლარი) ,ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი შემცირდა 45,0 ათასი ლარით და განისაზღვრა 5,0 ათ ლარი..სულ შემოსულობების მოსალოდნელი დანაკლისის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1500,0 ათას ლარს. აღნიშნული დანაკლისის შესავსებად საქართველოს მთავრობის 220 წლის 19 აგვისტოს N1570 განკარგულებით გამოგვეყო ფინანსური დახმარება1100,0 ათასი ლარი,ხოლო 400,0 ათასი ლარით ვახორციელებთ საგასავლო ნაწილის შემცირებას.

ცვლილებები ადგილობრივ ბიუჯეტში

საგასავლო ნაწილის შემცირება

1.საკრებულო

საქონელი და მომსახურების ხარჯები შემცირდა 6,0 ათასი ლარით.

მ.შ. მივლინება 2,0 ათ ლართ, წარომადგ.ხარჯი 2,0 ათ ლარით,საწვავი 2,0 ათ ლარით.

2.მერია -

ხარჯები შემცირდა 69,0 ათასი ლარით

მ.შ. შრომის ანაზღაურება 23,0 ათა ლარი

მივლინება- 6,0 ათ ლარი

წარმომადგენლობით ხარჯები 20,0 ათ ლარი

სუბსიდია --2,0 ათ ლარი

კადრების მომზადება 5,0 ათ ლარით

გრანტი ეკონომიკური ფორუმისათვის 13,0 ათასი ლარით.

3. სასამართლოების აღსრულების ფონდი -2,0 ათ ლარი

4.განათლება -175,7 ათ ლარი

-აიპ ბაღების სუბსიდია (კვებაში წარმოქმნილი ეკონომიიდან) 140,0 ათასი ლარი.

-ბაღების არაფინანსური აქტივების ზრდა -35,7ათასი ლარი

5.ინფრასტრუქტურა -233,0 ათ ლარი

-აიპ სოფლის წყლის სისტემები (არაფინანსური)-20,0 ათასი ლარი

-აიპ კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახური(გარე განათების კაპიტ ხარჯი)-40,0 ათასი ლარი

-სკვერების მოწყობის ხარჯები (არაფინანსური)-25,0 ათასი ლარი

-ტურისტული ინფრასტრუქტურა-(არაფინანსური-23,0 ათასი ლარი

-სანიაღვრე არხები-20,0ათ ლარი

-ომალოს ნაპირსამაგრი-20,0 ათასი ლარი

-დმო-52,0 ათასი ლარი

-სპეც ტექნიკა-33,0 ათასი ლარი

(მშ საქონელი და მომსახურება-20,0 ათასი ლარი

არაფინანსური-13,0 ათასი ლარ)

6. კულტურა და რელიგია-227,4 ათ ლარით

-ახალგაზრდული ღონისძიებები-30,0 ათასი ლარი

-სპორტული ღონისძიებები -51,5 ათასი ლარი

-ჭიდაობის ფედერაცია-4,0 ათასი ლარი

-ზვიადაურის სპორტ სკოლა -34,0 ათასი ლარი

მ.შ. სუბსიდია (მივლინება)29,5 ათ ლ

არაფინანსური-4,5 ათ ლარი

-კომპლექსური სპორტ სკოლა

მ.შ. სუბსიდია (მივლინება)-27,0 ათ ლარი

არაფინანსური აქტივები--6,0 ათ ლარი

-საფეხბ სკოლა ,,ბახტრიონი,,-25,4 ათასი ლარი

მშ. სუბსიდია(მივლინება)-20,9 ათასი ლარი

არაფინანსური აქტივები -4,5 ათასი ლარი

-ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლ ახალგ სკოლა სუბსიდია - 8,0 ათ ლარი

-საინფორმაციო -2,5(არაფინანსური)

-რელიგიური ორგანიზაციები(სუბსიდია)-15,0 ათ ლარი

-აიპ კულტურის ცენტრი-24,0 ათ ლარი

მ.შ. სუბსიდია-6,0 ათ ლარი

არაფინანსური-18,0 ათ ლარი

7.ჯანდაცვა და სოციალური-25,0 ათ ლარი

--.საზოგადოებრივი ჯანდაცვა

სუბსიდია (,,c,, ჰეპატიტის სკრინინგის პროგრამა)-10,0 ათასი ლარი

- სოციალური სახლი-

არაფინანსური აქტივი---15,0 ათ ლარი

-სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება -6,9

სულ შემცირება 750,4 ათასი ლარი

საგასავლო ნაწილის ზრდა

1. მერია

არაფინანსური +2,0 ათ ლარი

2. ინფრასტრუქტურა +201,6 ათ ლარი

-გზები კაპიტალური 94,6ათ ლარი (მშ.ორმული შეკეთება 35,0 ათ ლარი, თუშეთში ფარსმას ხიდის, ჭართალის მილხიდის, ჯვარბოსელ;ის ხიდის, გირევის გზის თანადაფინანსება).

-წყლის სიტემები(სსოფელ ხოდაშნის მეორე ჭაბურღილის მოწყობა და სოფლის პროგრამით ოჟიოს ჭაბურღილზე განსახორციელებე;ლი სამუსაოების დანადაფინანსება თანადაფინანსება) 50,0 ათასი ლარი

აიპი დაცული ლანდშაფტის სუბსიდია მთათუშეთის გზების გაწმენდითი სამუშაოებისათვის--55,0 ათასი ლარი
აიპ ტყეპარკების სუბსიდია +2,0 ათასი ლარი

3.ბაღები +40,0 ათ ლარი

ა(ა)იპ ბაღების გაერთიანება არაფინანსური +40,0 ათასი ლარი(სოფელ მატნის N2, სოფრელ ქვ ალვნის N1,სოფელ ზ.ხოდაშნის ს.ბაღებში სამფაზიანი ელ.სადენების მონტაჟი , გაზის შეყვანის ღირებულება,ელექტრო ქურების შეძენა)

4.კულტურა+ 79,5 ათ ლარი

-მატნის კულტსახლის თანადაფინანსება და საზედამხედველო ხარჯები გაიზარდა-79,5 ათასი ლარით

5. ჯანდაცვა და სოციალური პროგრამები +15,0 ათ ლარი

- აიპ სოციალური სახლის სუბსიდია გაიზარდა 15,0 ათასი ლარით.

-ავადმყოფთა მკურნალობის ხარჯები +6,9 ათასი ლარი

ჯამი 350,4 ათ.ლარი

ცვლილებია გათვალისწინებული აგრეთვე ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერის ოდენობაში.აქედან:

1 „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის №2630 განკარგულებაში შეტანი;ლი ცვლილებების შესაბამისად.

ა)ქ.ახმეტაში გრიშაშვილისა ქუჩისა და გორგასლის I შესახვევის,რუსთაველის ქუჩის ტროტუარების , ოჟიოს სასაფლაოსთან მისასვლელი გზის,სოფელ ქისტაურის შიდა გზის, სოფელ ზ.ალვნის შიდა გზის ,სოფელ ქვ ალვნის შიდა გზის სარეაბილიტაციო ხარჯები შემცირდა 164270 ლარით.

ბ)მატნის N2 საბავშვო ბაღისა და ზემო ხოდაშნის ს.ბაღის სარეაბილიტაციო ხარჯები შემცირდა152782 ლარით

გ) დუისის კულტსახლის სარეაბილიტაციო თანხის ოდენობა შემცირდა 34251 ლარით.

ზრდა:

ა) 2630 განკარგულებით გამოყო ჩოლოყაშვილის მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 100,0 ათასი ლარი და რუსთაველის ქუჩის ჩიხების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 217,8 ათასი ლარი.

ბ) მატნის კულტსახლის სარეაბილიტაციოდ 2020 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სამუშაოებისათვის გამოიყო 600,0ათასი ლარი.

2. „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 მარტის №551 განკარგულებით თუშეთში გირევის მისასვლელი გრუნტის გზის მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხა შემცირდა 141,4 ათ ლარით

3. 2020 წლის N27 განკარგულებით მოსწავლეთა ტრანსპორტირების მიზნით გამოყოფილი თანხა შემცირდა 71,3 ათ ლარით.

4.საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს N1573 განკარგულებით სოფელ ბაბანეურში მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის გამოგვეყო 572919 ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

სხდომას ესწრება 22 წევრი.

მომხრე - 17

მონაწილეობა არ მიიღო - (5) თ. ბოდაველი, დ. ავაზაშვილი, შ. ტერტერაშვილი, ვ.დედაბრიშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №10: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2020 წლის პროგრამის და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ნათელა ექვთიმიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო ინფორმაცია:

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება გამოწვეულია საქართველოში კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად არსებული სიტუაციის გამო. ცვლილების მიხედვით მოხდება ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლისთვის დამატებითი დაფინანსების გამაყოფა. გარდა ამისა, მოხდება სოციალური პროგრამის სხვადასხვა პუნქტებით გათვალისწინებული თანხების გადატანა იმ პროგრამებში, სადაც ყველაზე მეტი საჭიროება და მომართვიანობაა მოსახლეობის მხრიდან.

ა.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2020 წლის პროგრამის და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის გზით სოციალური დახმარების პროგრამის მოსახლეობის საჭიროებებისადმი მისადაგება.

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით:

1. დანართი N2-ის მე-12 პუნქტს (ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლის“ უფასო სასადილოს დაფინანსება, რისთვისაც გათვალისწინებული იყო 188 200 ლარი) დაემატება 14 207 ლარის დაფინანსება.
2. პირველ პუნქტს (ელექტროენერგიის ან ბუნებრივი აირის გადასახადის თანადაფინანსება წელიწადში 100 ლარის ოდენობით) გამოაკლდება 600 ლარი და გახდება 12 400 ლარი. გამოკლებული თანხა დაემატება მე-5 პუნქტს (95 წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა დახმარება) და მე-5 პუნქტის ჯამური თანხა იქნება 1600 ლარი. გარდა ამისა მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა გაიზრდება 10 დან 16-მდე.

3. მე-3 პუნქტს (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების საახალწლო და სააღდგომო დახმარება) გამოაკლდება 28 ლარი.

4. მე-4 პუნქტს (უდედმამო ბავშვები (18 წლამდე) საახალწლო და სააღდგომო დახმარება) გამოაკლდება 100 ლარი.

5. მე-8 პუნქტს (ოჯახების დახმარება პირველი და მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში, ერთჯერადად, ბავშვის ერთი წლის ასაკამდე) გამოაკლდება 4900 ლარი და გახდება 15 100 ლარი.

6. მე-10 პუნქტს (სასურსათო პაკეტი მაღალმთიანი რეგიონის (თუშეთი) მუდმივად მცხოვრებთათვის) გამოაკლდება 715 ლარი.

7. მე-20 პუნქტს (აუტისტური სპექტრის მქონე პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღისთვის) გამოაკლდება 1200 ლარი.

ზემოაღნიშნული თანხები (მე-3 - მე-4 - მე-5 მე-6 მე-7 მე-20 პუნქტებით გათვალისწინებული გამოკლებული თანხები) გადატანილი იქნება მე-15 პუნქტში (დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, ონკოლოგიური და ფსიქიკური პრობლემის მქონე ავადმყოფებისათვის შესაბამისი მედიკამენტების თანხის თანადაფინანსება.) და მე-15 პუნქტის ჯამური თანხა იქნება 46 943 ლარი.

ბ) ნორმატიული აქტის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღება გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გაღებას ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას **ახმეტის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.**

ბ.გ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ახმეტის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

გ) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორი და ინიციატორი

გ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორია ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

სხდომას ესწრება 22 წევრი.

მომხრე - 19

მონაწილეობა არ მიიღო - (3) თ. ბოდაველი, შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №11: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2020 წლის პროგრამის და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი:

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი არის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ და ,,სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელებიც სრულად ამოქმედდება 2020 წლის პირველ სექტემბერს. აგრეთვე საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსში შესული ცვლილებები, ამ ცვლილების თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს დაემატა ახალი უფლებამოსილებები მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ღ) ქვეპუნქტი: ,,ღ) ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული ბავშვის საჯარო სივრცეში დაცვის, საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით ბავშვთა ჯგუფური ტრანსპორტირების წესების დაცვის და ბავშვზე მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირის (ღონისძიების ორგანიზატორის) მიერ ვალდებულებების შესრულების, ბავშვის ბეჭდურ მედიასთან, საჯარო კინოჩვენებაზე და მასობრივ გასართობ საცეკვაო ცენტრში (ღამის კლუბში) დაშვებისა და ბავშვისთვის ჩაწერილი ფილმის ხელმისაწვდომობის სამართლებრივი შეზღუდვების დაცვის, ბავშვისთვის ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და თრობის სხვა საშუალებების, ალკოჰოლიანი სასმლის, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი ნაწარმისა და კაფსულის უსასყიდლო და სასყიდლიანი მიწოდების აკრძალვის წესების დაცვის მიზნით პრევენციული და შესაბამისი

რეაგირების ღონისძიებების განხორციელება. *(ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან)*“ აუცილებელია, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში შევიდეს შესაბამისის ცვლილებები, კერძოდ, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურს დაემატოს ორი ახალი საშტატო ერთეული: სოციალური მუშაკი და ჯანდაცვის სპეციალისტი, რათა მუნიციპალიტეტმა შეძლოს ჯეროვნად შეასრულოს საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი უფლებამოსილებები.

ა.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილების ცვლილება, რათა მუნიციპალიტეტმა შეძლოს ჯეროვნად შეასრულოს საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი უფლებამოსილებები.

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიხედვით საშტატო ნუსხაში კერძოდ, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურს უნდა დაემატოს ორი ახალი საშტატო ერთეული: სოციალური მუშაკი და ჯანდაცვის სპეციალისტი

გ) ნორმატიული აქტის პროექტის ფინანსური დასაბუთება

გ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს მნიშვნელოვანი დამატებითი ხარჯების გაღებას ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას **ახმეტის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.**

გ.გ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება მცირედ გავლენას მოახდენს ახმეტის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

გ) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორი და ინიციატორი

გ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორია ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

სხდომას ესწრება 22 წევრი.

მომხრე - 17

წინააღმდეგი - (1) თ. ბოდაველი.

მონაწილეობა არ მიიღო - (4) ფ. შიომღვდლიშვილი, დ. ავაზაშვილი, შ. ტერტერაშვილი, ვ.დედაბრიშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №: 12 „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12:25 საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: თამარ ყეინიშვილი